სილქნეტი
SILKNET

№ 3447/24-8 „11" 08 2021

შპს „მუნიციპალპროექტის" დირექტორს
ბატონ ნუგზარ არდაზიშვილს
მის: ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. N1, სად. 2, ბინა N21
ტელ, მობ: (599) 505082
ტელ/ფაქსი: (995 32) 2428430

ბატონო ნუგზარ,

თქვენგან შემოსული წერილის (N20 - 27/07/2021) პასუხად, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ქალაქებში, წყალარინების სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის საპროექტო ტერიტორიაზე, გადის სს „სილქნეტის" კუთვნილი მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელიც დატანილია თანდართულ CD დისკზე SHAPE-ფაილის ფორმატით.

სს „სილქნეტი" არ არის წინააღმდეგი აღნიშნული სამუშაოები შესრულდეს თანდართული დანართი N1-ის სრული დაცვით.

სამუშაოების დაწყების წინ აუცილებელია გამოძახებული იქნას სს „სილქნეტი"-ს წარმომადგენელი. ოპერატიული მართვა: 2 95 00 29; 2 93 27 40.

დანართი: 1. შეთანხმების დანართი #1.

პატივისცემით:

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი ასტამურ აჩბა

ქ. თბილისი

**შეთანხმება # 8/14604**

დანართი #1

09 / 08 2021წ.

სს „სილქნეტი" თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

- 200 მმ-მდე დიამეტრის წყალგაყვანილობის საპროექტო მილსა და სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა ხაზოვან ნაგებობას შორის, პარალელური მონტაჟის შემთხვევაში, ნაგებობის განაპირა ხაზიდან ტრასის გასწვრივ ორივე მხარეს, დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრისა **(იხ. ნახ. 4.1)**, ხოლო გადაკვეთის შემთხვევაში მონტაჟი უნდა მოხდეს სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვედა ხაზიდან 0.2 მეტრის სიღრმეზე **(იხ. ნახ. 4.2)**.
- 200 მმ-ზე მეტი დიამეტრის წყალგაყვანილობის საპროექტო მილსა და სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა საკაბელო ნაგებობას შორის, პარალელური მონტაჟის შემთხვევაში, ნაგებობის განაპირა ხაზიდან ტრასის გასწვრივ ორივე მხარეს, დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 2 მეტრისა **(იხ. ნახ. 4.1)**, ხოლო გადაკვეთის შემთხვევაში მონტაჟი უნდა მოხდეს სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვედა ხაზიდან 0.2 მეტრის სიღრმეზე **(იხ. ნახ. 4.2)**.
- გადაკვეთის ადგილებში წყალგაყვანილობის საპროექტო მილი აუცილებლად უნდა განთავსდეს სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ქვემოთ.
- სს" სილქნეტი"-ს მხრიდან, იგივე (ან მიმდებარე) ტერიტორიაზე მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის ან სხვა ელემენტების მშენებლობა/რეკონსტრუქციის პროცესში წყალგაყვანილობის მილის შესაძლო დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლის მიერ საპროექტო წყალგაყვანილობის მილის ზემოთ, ჩაიდოს გამაფრთხილებელი ლენტი, არანაკლებ 0,15 მ-ის დაშორებით **(იხ. ნახ. 4.2)**.
- სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთის შემთხვევაში გათხრითი სამუშაოები შესრულდეს ხელით.
- წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველყოს სს „სილქნეტი"-სათვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ხაზოვანი ნაგებობის მშენებლობის დაწყების ან/და სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.
- იმ შემთხვევაში, თუ სს "სილქნეტი"-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:

  ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

  ბ) აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს "სილქნეტი"-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის (Info.Center@silknet.com) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრების მეშვეობით.




ნახ. 4.1




ნახ. 4.2

სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 09/08/2021